«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ., განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

«დროების» ფასი პირველის თებერვლიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი და 50 კაპ.

«დროება» თითო ნომრობით იყიდება თბილისს გარდა:

ქუთაისში—ჭილაძის წიგნის მაღაზიაში,

ბათუმში—ალიბეგოვის მაღაზიაში, ზღვის პირზედ,

გორში—საზოგადოების დეპოში,

ხაშურში—რკინი-გზის ბუფეტში—ძნელაძესთან.

## გორის თავად-აზნაურობის კრება.

თბილისი, 7 თებერვალს.

გორის თავად-აზნაურობამ იმედი არ გაგვიცრუა.

კვირას, 5-ს თებერვალს, ქ. გორში შეიკრიბნენ 120 თავად-აზნაურამდე და ერთხმად, ალტაცებით მიიღეს კომისიისაგან გაწერილი გარდასახადი სასწავლებლისათვის ფონდის შესადგენად.

ბეჯითად და ერთგულად ეშრომათ კომისიის წევრებს, და არა ნაკლებ ბეჯითად და ერთგულად იქცეოდა თავად-აზნაურობის წინამძღოლის მაგიერ თ. კოსტ. შალიკოვი, რომელმაც თავის გრძნობით სავსე სიტყვით დიდი ღვაწლი დასდო ამ სასიქადულო საქმეს.

წინააღმდეგი თვითონ გარდასახადისა არავინ არ იყო. თუ სთქვეს რამე, სთქვეს იმაზედ, რომ განაწილებაში შეცდომებია და უნდა შესწორდესო. კრებამ შეასწორა ეს შეცდომები და სიამოვნებით მოისმინა ზოგიერთა წევრთაგან განცხადებული სურვილი,—მომიმატეთ და ნუ კი მომიკლებთო, ან მეორე და მესამე კატეგორიიდგან პირველში და მეორეში გადამიყვანეთო!

იყო, განა არა, პირადი ანგარიშებიც; ზოგნი გადასახადს წინააღმდეგად იმიტომ უხდებოდნენ—რომ როგორ თუ ამანა და ამან მე «ხარჯი» უნდა გამაწეროსო; კაპეიკსაც არ მივცემ და ვერც გამომართმევენო, დიაღ, იყვნენ თითო-ოროლა, მაგრამ ბოლოს საზოგადოების ალტაცების ტალღამ ამათაც დაჰკრა და წინააღმდეგობა ენაზედ შეაშრათ.

გორისა და დუშეთის თავად-აზნაურობამ თავისი ხვედრი შესწირა ამ სამაგალითო საქმეს. ეხლა რიგი კახეთისაა.

## შინაური ქრონიკა

≈ ხონიდამ გვწერენ: «ბევრი უწესოება ხდება ჩვენს მიყრუებულ დაბაში: მაგ., ამას წინად გაუტეხეს დუქანი მიკიტანს ჯალალანიას, გაიტანეს, გარდა ავეჯისა, სამასი მანათი ფული; გაიარა ცოტა ხანმა და ამ იანვრის უკანასკნელ რიცხვებში გაუტეხეს დუქანი ერთს მეტისმეტად საწყალ მეფურნეს. წაიტანეს ფული, რაც კი იყო მეფურნის ღარიბ დახლში. ავაზაკები აქაურ პოლიციას ჯერ კიდევ არ ამოუჩენია. რაიცა შეეხება ღამე ქუჩებში კაცების ცარცვას, ეს ახალი ამბავი არ არის ხონისთვის.»

≈ ახალციხიდამ გვწერენ: «მთელ მაზრაში საშინელი თოვლია. თუმცა გლეხებს ძლიერ უხარიანთ—პირნახულისთვის კარგიაო, მაგრამ ამ საშინელმა თოვლმა და ყინვებმა მგლებს ისე გაუჭირეს საქმე, რომ მშიერნი შიგ ქალაქში გვიცვივდებიან. ნეტავი, თქვენის სიცოცხლით, მთელი ერთი ხროვა შემოვარდეს იმ დროს, როდესაც ჩვენი ქალაქის ასენიზატორები, ასრე აქაური ქალაქის გამგეობისაგან წოდებული ღორები, არხეინად დასეირნობენ ქუჩა-ქუჩა და გამვლელ-გამომვლელს ფეხ-ქვეშ უცვივდებიან; გაუსვან პირი და მოიკლან საცოდავებმა შიმშილი! იქნება თქვენ ხუმრობა გეგონოთ, მაგრამ მე ნამდვილად ვიცი, რომ როდესაც პოლიციამ მისწერა და სთხოვა გამგეობას, რომ მას თავის მხრით განკარგულება მოეხდინა, ღორებს ქუჩა-ქუჩა არ ეარნათ, მას ეპასუხა პოლიციისთვის: რადგანაც სხვა არა რაიმე საშუალება არ მოიპოვება ქალაქის სუფთად შენახვისა და რადგანაც ღორები ძლიერ კარგი სანიტარები არიანო, ამის გამო, ნურას უკაცრავად, რომ უარს მოგახსენებთო... ოხუნჯობაა—მარა ჯანდაბაა!!—წუხელის შუაღამისას გაჩნდა ურიების უბანში ერთ ფურნეში ცეცხლი. მინამ ცეცხლის გასაქრობ მაშინას მოაშველებდნენ, მინამ ფურნე დაიწვა; აქაური კინტოების წყალობით—ცეცხლმა მარტო ერთი ეს ფურნე ინაცვალა.

აქაური დროს გატარება: ქაღალდის თამაშობა და ლოტო სადილ-ვახშმებით, ლოტო და ქაღალდის თამაშობაა... «კრუჟოკში» გაიმართა წარმოდგენები, მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, დროებით შესდგა. ეს ერთი რიგიანი დროს გატარება იყო,—ესეს მოისპო».

≈ თბილისში დაარსდა ამ ცოტას ხანში ყვავილით ავად-მყოფებზედ მზრუნველი კომიტეტი. გაზ. «ახალი მიმოხილვის» სიტყვით, ამ კომიტეტს გადაუწყვეტია ოცი ყვავილის ამცრელის მოწვევა, რომ ეს ფრიად სასარგებლო ოპერაცია გაძნელებული არ იყოს; გადაუწყვეტია აგრეთვე,—სთხოვოს ქალაქის საბჭოს 1000 მანათი ღარიბი ავად მყოფების შესაწევნელად. პოლიციას წარუდგენია ამ კომიტე-

«დროების» ფელეტონი, 7 თებერვ.

## სიყვარულის მსხვერპლი.

სამარესავით ბნელ ღამეს რაღაც საშიში, დიადი
ბუნებას გადაჰფენოდა ჯოჯოხეთური წყვდიადი,
და ძალი ჯადოსნობისა გაშლილი იყო ყველგანა;
ღრმა ფიქრში ჩაძირულ იყო დადუმებული ქვეყანა.
ველში ჩაშლილი ყვავილი, სუნნელებისა მფენელი,
და ღმობიერი ბულბული, ოცნებით აღმამღერენელი,
ერთს ადგილს მიმალულ იყვნენ და გაკმიდათ მათ სული;
აღარ იძვროდა ფოთოლი, ფოთლისა ბუდეში ჩაკრული.
მდუმარებდა მიდამო, ძილს მისცემოდა ქვეყანა...
მხოლოდ ცოფიან ღრიალით მდაბალსა კლდეს ქვეშ ერთგანა
თავ-განწირულად მავალი, ბრაზიანი და მძვინვარე,
აქაფად მოგრიალობდა გაავთრებული მდინარე.
ცხარე ცრემლისა მფრქვეველი, სევდებისაგან მდნარია,
მის კიდეს ქალი მოსჩანდა კლდის თავზედ გადმომდგარია,
მოიგონებდა სულის სწორს, მისის სიცოცხლის წამლებსა,
და ნაღვლიანად, გულ-მკვლელად გადაჰკიოდა ტალღებსა:
«უნდობო და მფოთიანო, მომკვნესარო ტალღებოო,
ჩემო ფიქრში გამრთველებო, ოცნებაში წამღებოო,
ხმა შესწყვიტეთ, შემიბრალეთ დამწვარი და ცრემლის მღვრელი
და მითხარით: არ შეგხვდიათ ჩემი გულის საყვარელი?

—

არ გინახავთ ჩემი პირველ სიყვარულის საგანიო,
ნორჩი გრძნობის ამფოთქმელი, კრული გულის სავანიო?
და თუ ნახეთ, უტყუარად მომიყევით ყველაფერსა:
ჩვეულებრივ გმირობს გმირი, თუ უსულოდ ჰგდია გულსა?

—

ჩაგრულთ ფარი, ძლევული, რკინა მკერდი მამაცისა
ისევ იძვრის, თუ უსულოს წყნარადა რწყავს ნამი ცისო?
თუ მის ყელს, ჩემს სანუგეშოს, ცბიერი და სამაგელი,
ჩემ მგლოვების მაგიერად, გარს შემოხვევია გველი?
ან იქნებ ღვთის უარ-მყოფი, ხალხის ჩუმად მცარცველიო,
მოუპარა მართლის მთესველს, ყელს მოაბა საბელიო;
და ჩემგან ცრემლ-დაუფრქვეველი იქნებ მისი მშვენი ტანი
დასცურავდეს სადმე წყალში, მტრის ხელით გადმონატანი?!

—

ან და იქნებ ბნელ-სადგურში, შეკრულ-შებორკილებული,
მართლისა და საწყლის მცველი სადმე იყოს მიგდებული,
და იქიდამ ნაღვლიანი, ცხარე ცრემლის მწვავად მღვრელი,
წუთით-წუთზედ მიგონებდეს სულის სწორსა საყვარელი?

—

მაგრამ შორით შორეს მყოფმა, სევდისაგან დამწვარმაო,
პირველ სიყვარულის ყვავილს რა ვუშველო საწყალმაო?
რა ვუშველო, რომ არ ვიცი მისი არც გზა და არც კვალი,
რომ არ ვიცი მისი საქმე, მისი თავგადასავალი?

—

სრულად ჩემი სულის ძალა, ჩემი გული და გონება
დიდის ხნიდამ მისი არის, მარტო იმას ემონება,
და თუ სატრფო მკვდარი არის, თუ მოყლეს მას ბოლოო,
მაშ იმის დაკარგვის შემდეგ რა ნება მაქვს ვიცოცხლოო?

—

არა!.. ტალღებს შევერთობი და ვიხილავ მეცა ბნელსა;
მეტი რაღა დამრჩენია მე საყვარლის დამკარგველსა?
და მშვიდობით, დღის ნათელო და უსაზღვრო სამყაროო...
წავალ, წავალ!... სულის სწორთან მინდა ერთად ვიცხოვროო!..»

—

თავ-განწირული გადეშვა, უცბად შეერთო მდინარეს
და დაჩაგრულის გულ-მკერდი ტალღებმა გადაიარეს;
გაჰქარწყლდა ნორჩი სიცოცხლე და დაიკარგა აწ იგი...
ადრე მიიწყო ბუნების კანონმა თავის წეს-რიგი....

ცახელი.

ტისათვის სია ავად-მყოფებისა, საიდამაცა სჩანს, რომ აღწერის დღეს სულ **149** ყვავილით ავად-მყოფი ყოფილა, რომელთ შორის **49**-ს მოსარჩენად უქნია პირი. ყვავილი ავზნიანი არ არის და თან-და-თან სუსტდება კიდეცაო.

**სოფ.** ქავთის-ხევიდამ გვწერენ: «ამ საძაგელს დამპალს ზამთარს მოჰყვა ბევრი სხვა-და-სხვა ავად-მყოფობა. ხალხს შეელა არსაიდამა აქვს. ყურს არავინ იბერტყს. ავად-მყოფობამ კი ისე შემობერტყა ხალხი, მეტადრე ბავშვები, რომ თითქმის ვერ ნახავთ ოჯახს, რომელსაც ორი და სამი სული ადამიანი არ დაჰკლებოდეს. ყველაზე ძალიანა ჰმუსრავს ყმაწვილებს საძაგელი ყვავილი, რომელიც შარშან ზაფხულიდამვე შეჰყვა სოფელსა და ზამთარში ხომ უპატრონობით უფრო მოიკიდა ფეხი. ყვავილს დაემატა ზედ უფრო საძაგელი ავად-მყოფობა, ქუნთრუშა, რომელიც ორ-სამ დღეზე ალრჩობს ყმაწვილებს. **სასტიკი** საჭიროება მოითხოვს, რომ ამ საშინელს მდგომარეობაზე მალი და ერთგული ყურადღება იყოს მიქცეული, ვისდამიც ჯერ არს».

**სოფ.** ანაგიდამ (სიღ. მაზ.) გვწერენ: «ამას წინად სოფ. ანაგაში გარდაიცვალა **7** წლის ვაჟი, რომლის სიკვდილსაც აბრალებდენ მეზობლის თვრამეტი წლის ბიჭს, რომელსაც ვითომც ეწვალებინოს. მამასახლისმა «რაპორტით» აცნობა ეს საქმე მაზრის უფროსს. გავიდა ოთხი თვე მას შემდეგ, რაც ბიჭი დაასაფლავეს და არავითარი გამოძიება არ მომხდარა.

«ეხლა **21**-ს იანვარს მოსურვებოდა მაზრის მკურნალს და ჩამობძანდა ანაგაში ამ საქმეზე. მოიკითხა ბავშვი, ამოალებინა მიწიდამ მისი გვამი, შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ იგი ვითომ თავის ავად-მყოფობით მომკვდარიყოს.

იქნება მართლა ბავშვი თავის დღით მოკვდა, მაგრამ მაინც კარგი იქნება, შევიტყოთ,—შეიძლება თუ არა ოთხის თვის გახრწნილ გვამზე რაიმე ნაძალადობის აღმოჩენა»?

«მწყემსში» ვკითხულობთ: «როგორც შევიტყეთ, იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებას კიდევ ექმნება არა ჩვეულებრივი შეკრებილება ქ. ქუთაისში დიდ-მარხვის მეორე კვირიაკის დასაწყისში სემინარიის დაარსების შესახებ. **სამეგრელოს** სამღვდელოებას ჩვეულებრივი შეკრებილება ექმნება თომას კვირიაკის შემდეგ თავიანთ სასწავლებლის შესახებ საქმეზე.»

**როგორც** გაზეთი «ახალი მიმოხილვა» გვაუწყებს, შაბათს, **4** თებერვალს, პოლიციას ალუნაკოვის ქვრივის მკვლელები სულ-ყველანი დაუჭერია. **სულ** ოთხი კაცია თურმე. მოთავეედ ჰყოლიათ ვილაც არგუთინსკი, რომელიც **12** წლის წინადაც რეულა შახოვსკის სახლის გაქურდვაში. დაჭერილებში ერთი ოსიც ურევია. როგორც ამბობენ, ყველა ავაზაკები უცვნია ალუნაკოვის ქალს.

გაზ. «მეღუ»-სა სწერენ: «განჯის მაზრის სოფ. გეთაშენში, **25** იანვარს, პრისტავმა **ხოჯაევმა**, სოფლელთა შემწეობით, დაიჭირა გამოჩენილი ყაჩაღი ალია, ციმბირიდამ გამოქცეული ამ სამი წლის წინად. ალია დიდხანს იმალებოდა განჯის გუბერნიის ტყეებში და ძალიანაც აღონებდა ადგილობრივს მთავრობას. ალიას დაჭერაში ერთი გლეხი დაჭრილა.

გაზ. «**Каспій**» იწერება: ბაქოს ქალაქის თავმა გამოუცხადა ნავთის მრეწველებს, რომ, მისი მეცადინეობით, ბაქოს ქალაქის საბჭომ ასი თუმანი გადასდო ნავთის მრეწველთა ყრილობების პროტოკოლების დასაბეჭდად. გაზეთს სამართლიანად უკვირს საბჭოს ასეთი გულუხვობა, როდესაც ქალაქს იმდენი შეძლება არა აქვს, რომ, მაგ., იყოლიოს ექიმი ხორცისა და სხვა ხორაგეულობის გასასინჯად, რის გამოც ბაქოელებს თითქმის მუდამ გაფუჭებული და საეჭვო ხორცი მოერთმევათ ხოლმე სუფრაზე. გარდა ამ ნამდვილ უბედურობისა, თითონ ნავთის პატრონები თითქმის მილიონობითა ანგარიშობენ თავიანთ შეძლებასაო, ამბობს გაზეთი, და ნუთუ ქალაქის ღატაკი კასის მოწყალება უჭირთ იმათაო. თურმე ეს საკვირველი მოწყალება მისი ბრალია, რომ ბაქოს ქალაქის თავი, ბ. დესპოტ-ზენოვიჩი, პრეზიდენტი ყოფილა მენავთეების კრებებზე...

საკვირველია, ღმერთმანი, ზოგგან რა ოხუნჯობა იციან ამ თავებმა და პრეზიდენტებმა!..

## ვითომ მართალია?

კითხულობთ, თუ არა კერძო განცხადებებს გაზეთებში? გირჩევთ, წაიკითხოთ. ზოგიერთებში ამაზე ყურადღების ღირსს განყოფილებას ვერ იპოვნით. აი წრევანდელი «კავკაზის» № 25-ში, თავშივე როგორი კერძო განცხადებაა:

«ვურჩევ ჩემდა რწმუნებულის გორის მაზრის 1-ლის მოსარიგებელი განყოფილების მამულის-პატრონთ თავადთა და აზნაურთ ჩქარა შეადგინონ მამულის შესასყიდი პირობები; ამას გარდა, ვურჩევ მიმართონ ამ საქმისათვის გახსნილ კანტორას კერძო ადვოკატის გრ. ლოლაძისას, რომელიც არდგენს ამ გვარ პირობებს მებატონეების თხოვნით.

მომრიგებელი შუამავალი
თ. ივ. ერისთავი».

192—1.

მკერვალმა რომ თავის მეგობარ ვაჭართან მიგასწავლოს, გასაკვირველი არ არის,—ხელს აძლევს. ექიმმა რომ უეჭველად თავის «ნაცნობ» აფთიაქართან გაგზავნოს, არც ეს არის გასაკვირველი,—შეიძლება ამანაც ხელი მისცეს; მაგრამ რომ მომრიგებელი შუამდგომელი კერძო ადვოკატების კანტორებში «პირობების» შედგენას ურჩევდეს საზოგადოებას,—ეს ჩვენგან პირველი გაგონებაა.

ამბობენ, ამ კერძო ადვოკატს თავისი კანტორა თ. გრ. ე—თან ერთად გაუხსნიაო.

ამბობენ სხვა კანტორებში დაწერილ პირობებს ძალა არა აქვთ გორის მაზრის პირველ მოსარიგებელ განყოფილებაშიო. ამას ყველას ამბობენ, მაგრამ ვითომ მართალია?

X

ბბ. ესებუასა და მელიქ-ბეგლიაროვის შორის გამართულ პოლემიკას წაიკითხავდით. წაიკითხავდით აგრეთვე,—«ახალმა მიმოხილვამ» როგორ თავზედ ხელი წაუსვა ბ. მელიქ-ბეგლიაროვს და დაამედა,—შენ ნუ გეფიქრება, მე კარგ ატესტატს მოგცემ და ყოველისფერს, საზოგადო წესებს გადავაბრალებო. ბ. მელიქ-ბეგლიაროვი ხელში მოუკვდა ამ გაზეთს და ორ ენაზედ დაბეჭდილი თავის პასუხით განიბანა ყოველივე უწმინდურებისაგან.

მაგრამ... წაიკითხავდით აგრეთვე იმავე «ახალ მიმოხილვაში», ან იქ თუ არა, «დროების» მე **17** №-ში იქიდამ გადმობეჭდილ ამბავს,—თუ ერთს ტფილისის კერძო სასწავლებელში როგორა სცემეს ერთს ბავშვს და გულმოსულს დედას როგორ უპასუხა ამ სასწავლებლის «დირექტორმა»—ჩვენ ხომ ძიძად არ დაგვიდგებით თქვენს შვილებსაო.

ამბობენ ეს «ახალი მიმოხილვისაგან» გამოაშკარავებული კერძო სასწავლებელი—მისგანვე ბოლოს ნაქები მელიქ-ბეგლიაროვის სასწავლებელიაო და სასწავლებლის «დირექტორი» თითონ ბ. მელიქ-ბეგლიაროვიო. ვითომ მართალია?

## «დროების» კორესპონდენციები.

**ახალციხე, 30** იანვარს. სხვა-და-სხვა დროს, სხვა-და-სხვა საბუთებით*) «ვინმე მესხი» ამტკიცებდა, რომ სამესხეთოში მცხოვრებნი ქართველ-კათოლიკები, წოდებულნი სომეხ-კათოლიკებად არიან შთამომავლობით ქართველნი და უკეთუ სომხის ტიბიკონი მიუღიათ, არა იმიტომ, რომ სომეხნი ყოფილან, არამედ თვალის ასახვევად ოსმალებისა, რომელთაც სომხები, მათის აღებ-მიცემობის გამო, პატივში ჰყოლიათ, ნდობა ჰქონიათ მათზედ და გულ-დამშვიდებულნიც ყოფილან, რომ იგინი არასოდეს არ აუჯანყდებოდენ. ამის გამო არა სდევნიდენ არც მათ, არც მათ მორჯულეთ მაშინ, როდესაც არც ბერძნებისა, არც მათ მორჯულეთ*) ქართველების ერთგულობისა ოსმალებს იმედი არა ჰქონიათ, ყოველ წუთს შიშ ქვეშ ყოფილან—ან დღეს აგვიჯანყდებიან და გამოგვეცლებიან ხელიდგან, ან ხვალაო. და ამის გამო, თვალ-ყური სჭერიათ მათს ყოფა-ცხოვრებაზედ, სძულებიათ და დაჩაგრულნი ჰყოლიათ.

თუმცა «ვინმე მესხმა», ჩემის აზრით, საკმაოდ დაამტკიცა ზემომოყვანილი აზრი, მაგრამ, ვგონებ, არ იყოს მეტი, რომ მეც ერთი-ორი სხვა ფაქტი მივუმატო «ვინმე მესხის» საბუთებს, მისგან გამოთქმული აზრის დასამტკიცებლად.

ერთმა ჩემმა მეგობარმა ქ. ართვინიდგან მომაწოდა რამდენიმე ხელ-ნაწერი. მათ შორის არის ორი კაზმიანი ხელ-ნაწერი: **სომხური ლოცვები, ქართული ასოებით ნაწერი**, და **[illegible] ქართველთ-კათოლიკებისგან** ვილაც უფროსს პატრთან ქართულ ენაზედ მიწერილი წიგნი, ანუ უკეთ ვსთქვათ, თხოვნა. ერთ ლოცვანში, თითქმის ბოლოში, გადამწერი **ქართულად** სწერს: «ახლა ამის იქით ბევრი ლოცვები დარჩა, თუ სულ დამეწერა, სამი ამდენი ქაღალდი არ ეყოფოდა, ახლა ამდენი ლოცვები შიგედამ ამოვარჩიე და დავჰსწერე, რავარომ შენ გარგებდა—შენი სათქმელი არის რაც ხუსცისა და ხმით...» და სხ. ახლა მოისმინეთ ველელების თხოვნა. (მართლწერას არა ვცვლი).

«ბატონს პატრი: უფროსს: და უმთავრესს. მამას. საღთო სიბრძნით სავსესა. და საღთო: მოქალაქობით. აღზდილსა.

ჩ. ცოდვილნი: ერნი ვალის: ზოგად კათოლიკებათ: ქართველთ გვარისანი უმწებსოდ დაცვივნულნი ცხოვარნი: პირველად: ღთისაგან. რჩეულსა. და მერმე. წმინდა კრებისაგან აღმორჩეულსა: აღმოსავლეთის კათოლიკე: ეკლესის: შვილებსზედ: ზედამხედველად: დადგინებულსა: ჩვენ ცოდვილნი და რ..ღირსად წოდებულნი: კათოლიკე: სარწმუნებისა: ქედ დადრეკით დავარდობით ხელპყრობილნი საღთოსა მას ფერხთა ანბორებას. მიუძღვნით ახლა. ამას ვეხვეწებით.·. დავცენჯებით რომ: ჩვენი.·. რიგის: მღდერი: ღმერთს გამოუგზავნია: ჩვენთვის: და ეგ: ჩვენი.·. კათოლიკე: მამები: აყენებენ ახლა: ამ. წყალობას: ვითხოვთ თქვენის: მოწყალე: გულისაგან რომ: თქვენის: ბძანებით.·. წყალობა უყოთ მაგ ჩვენს. მღვდელსა. რომ ჩვენს. საბრალო: სულებს: მოუაროს ჩვენს: ქართველთ რიგზედა არათუ: იმ: შეჩვენებულის: ფოციოს: რიგზედა მაგრამ. იმ წმინდა მამის: იოვანეს. ოქროს: პირის: რიგზედა: ახლა: თუ იკითხოთ ჩვენი ნამყენობა: ლათინთ: ნამყენი: და ნაყოფნი: დამოწაფებულნი. დამონდირებულნი. ვართ: არათუ. სომეხთ გვარისაგან: და. ესეც. უწყოდეთ: ბატონო: თუ რომ: მაგ

*) იხ. გაზ. „დროების" №№-ბი 239-240, 80 წლ. 152 და 185 №-ბი 82 წლ.

*) დღესაც ბევრნი სარწმუნოებას და ნაციას ერთი-ერთმანეთში ვერ არჩევენ. ხშირად კითხვაზედ: რა ტომისა ხარ? «კათოლიკე გახლავართ»,—მიიღებთ პასუხად.

მღდელის წყალობას:. გვიზამთ დიალ ბევრი. სულებს შეგვძინამს ღმერთი (მეორე გვერდზედ) ქ. ამის წიგნის მოწმობა

ქ. პირველად
ტერ-სიმონ
ქ. მისი ძმის: წული მჟერემა
ქ. ალექსანი
ქ. ელიზბარი
ქ. ყარაგოზი
ქ. დავითი
ქ. ამოსტოლი
ქ. მესროფი:
ქ. ასლანი
ქ. ჯოჯოი
ქ. სუნბული
ქ. პეტრეი
ქ. ისაი
ქ. პავლეი
ქ. ოქროი
ქ. შოი
ქ. ცაცოი
ქ. თათ... (მოხეული ბოლო)
პატრი უფროს: მიერთვას

ბეჭდის ადგილი.

ჩემის აზრით, როგორც ზემოხსენებული სომხური ლოცვანი, ნაწერი ქართულის ასოებით, ეგრეთვე ზემომოყვანილი ველლების (არზა) თხოვნა პატრთან საკმაოდ ცხადად ამტკიცებენ, რომ სამესხეთოში მცხოვრები კათოლიკები, სომეხ-კათოლიკებად წოდებულნი, იყვნენ ნამდვილნი ქართველნი, მესხნი, და არა სომეხნი; უკეთუ იგინი სომეხნი ყოფილიყვნენ, ლოცვები ქართული ასოებით არ ექმნებოდათ დაწერილი, რადგანაც იმ დროს სომხებს თავიანთი ანბანი ჰქონდათ. ან თვით ლოცვების გადამწერი, როგორათაც თვითონ, ეგრეთვე ის პირიც, რომლისთვისაც ისინი გადეწერა, თუ ქართველნი არა ყოფილიყვნენ და სომხური წერა-კითხვა სცოდნოდათ, რად იქმნებოდა ლოცვანში გადამწერისგან ჩართული ქართულ ენაზედ ზემო მოყვანილი სიტყვები? ცხადია, რომ სომეხ-კათოლიკებს სომხური კითხვა, იქმნება ენაც, იმ დროს, რა დროსაც ზემოხსენებული ლოცვანნი არიან ნაწერნი, **არა სცოდნიათ**, და რადგანაც საჭ**იროება მოითხოვდა**, რომ მათ ლოცვა-წირვა ჰქონოდათ სომხურს ენაზედ და იმ ენაზედ კითხვა არ იცოდენ, იძულებულნი შეიქმნენ ქართული ასოებით ეწერათ და ისე ზეპირად დაესწავლათ მათთვის საჭირო ლოცვები. ზემომოყვანილი ველლების თხოვნა უფრო ცხადად გვიმტკიცებს სამესხეთოში მცხოვრებ კათოლიკების ქართველ გვაროვნობას: მოჩივარნი პირ-და-პირ, ცხადად ალვიარებენ, რომ იგინი **«ქართველთ გვარისანი»** არიან და აცხადებენ სურვილსა, რათა მათ საბრალო სულებს მღვდელმა მოუაროს **«მათ ქართველთ რიგზედა»** და სომხო-**ხობაზედ უარს ჰყოფენ**; მიაქციეთ ყურადღება სახელებს თხოვნაზედ ხელისმომწერთა: ელიზბარი, ჯოჯოი, ოქრო—ნამდვილი ქართული სახელებია!

ყველა ზემოხსენებულზედ რას იტყვიან მოწინაალმდეგენი «ვინმე მესხისა»?

ფოცხოველი.

---

**ფასანაური, 2 თებერვალს.** ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა გლეხების შემაწუხებელ წურბელებზედ და აი, ამ გვარსავე გულის ამდუღებელს ამბავს მოვახსენებ მეც მკითხველს. ერთს ფასანაურის დუქანში ვნახე ორი მგზავრი გლეხი კახელები, რომელნიც ისე ცხარე ცრემლითა სტიროდენ, თითქო წინ მცხედარი უსვენიათო. გამოკითხვის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ისინი არიან თელავის მაზრის სოფელ ფშავიდან. ერთს თელაველს, პეპუა ოთარიშვილს, ერთ-ერთი ამ გლეხის შვილის ნათლიას, მიეცა თანხები, რომ მე კარგ ფასად გაგიყიდით კავკავში ღორსაო. ნათლულის მამასაც გახარებოდა ნათლიის რჩევა და თავის ბიძა-შვილთან ერთად წამოესხა რამდენიმე მსუქანი ღორი გასასყიდად კავკავში. შემდეგ დიდის ჯაფისა და წვალებისა, წყვილი ღორი გაიყიდა ცამეტ მანეთად, მაშინ როდესაც ფშავშივე ეძლიათ წყვილში თხუთმეტი მანეთი. ერთგული ნათლიის დალალობით, სულ სამოც-და-ათი თუმნის ღორი გაეყიდნათ. მინდობილი ნათლულის მამა, თავის ბიძაშვილით, სამოც-და-ხუთს თუმანს ზედ დააკერებენ სანდო ნათლიას და გამოემგზავრებიან შინისკენ. ჟვეშეთამდის ერთად ივლიან, იქ კი ნათლია მისცემს თანხებს ნათლულის მამებს—თქვენ წადით და მეც მოგეწევითო, გაუსხლტება ხელიდგან, ღამით დაიჭერს მარხილს და გასწევს თბილისისკენ. უბედური გლეხები მწარის ცრემლით ტირიან და ელოდებიან. ნათლულის მამა ტირის: «სახლი ვიყიდე ნისიად, ხურო-იმერლებს ვადგმევინებ, მაგ ფულის იმედით, და ეხლა რაღა ვქნა, საით გადავვარდე, სად დავილრჩო თავი, ან სახლის პატრონს რა პასუხი გავსცე, ან შინაურებს და ცოლშვილს რაღა პირით შევხედო. იმ ურწმუნოს, წლის წლობამდის ცოლშვილს მე ვუკვებამ, განა მემართლება ორი შვილის მომნათლავიაო»!.. მთელი დღე და ღამე ელოდენ, მერე გლეხმა ამხანაგი ფასანაურიდამ გაგზავნა ჟვეშეთში ამბის შესატყობად, მაგრამ ცუდი ამბავი მოუტანა: ღამე მარხილით ჩამოუვლიაო. საწყალი გლეხები ისე უფულოდ იყვნენ, კაპეიკი არა ჰქონდათ, რომ პური ეჭამათ დალალულთ და ნამგზავრთ. ორს დღესა და ღამეს ანანურში ელოდნათ და შემდეგ იმედ-გარდაწყვეტილებს მთაზედ გადაევლოთ კახეთისკენ. სასურველია, რომ მიიღონ ზომები პეპუა ოთარიშვილის საპოვნელად, სანამ იმ სამოც-და-ხუთს თუმანს მიირთმევდეს, თორემ შემდეგ რაღას ჩააბარებს საყვარელს ნათლულის მამას, თუნდაც რომ იკისროს ფულის მოტაცება.

სოლიკო.

---

**ქუთაისი, 4 თებერვალს.** დღეს ჩვენ დავესწარით ახალი საბჭოს პირველ სხდომას. როცა თვალი გადავავლეთ ხმოსნებს (რიცხვით ოცდა თექვსმეტია) შევნიშნეთ, რომ უმეტესი მათგანი უსწავლელი ვაჭრები არიან. სწავლა-მიღებული ათამდე თუ იქმნება. ოც-და-თექვსმეტს ხმოსანში სამი სომეხია, ორი რუსი, ექვსი ურია, დანარჩენი ქართველები.

პირველი საქმე იყო ქალაქის მამულების დამფასებლების ამორჩევა. ეს საქმე მალე გათავდა, მაგრამ მეორე საქმემ-კი ბევრი აყალ-მაყალი გამოიწვია. ბატონს მიქიევს ხმოსნების ამორჩევის დროს მეტი თეთრი კენჭი მოსვლია ბ. პ. წულუკიძეზე, გამგეობას-კი ეს უკანასკნელი უცვნია ამორჩეულად. აღმოჩნდა, რომ თუმცა ბ. მიქიევს მეტი მოსვლია თეთრი კენჭი, მაგრამ იმის არჩევის დროს მეკენჭენიც მეტნი ყოფილან, ვიდრე ბ. წულუკიძის არჩევაზე და ამომრჩეველთა რიცხვის შედარებით ბ. წულუკიძეს უფრო მეტი თეთრი აქვს. ამ მარტივ საქმეზედ ბევრი ილაპარაკეს და ბოლოს საბჭომ ამორჩეულად იცნო ბ. წულუკიძე და უარი უთხრა ბ. მიქიევს.

მესამე საქმე იყო კითხვა გამგეობისა: ჯერ მომავალი შემოსავალ-გასავლის ანგარიში განვიხილოთ, თუ არჩევა იყოსო. ასარჩევია ქალაქის თავი და ერთი გამგეობის წევრი. ამ საქმემაც ბევრი ბაასი აღძრა. გადაწყდა ჯერ შემოსავალ-გასავლის განხილვა და შემდეგ გამგეობის პირთა არჩევა.

ეს სხდომა, როგორც ხედავთ, დიდად საინტერესო არ იყო და თუ კალამს ხელი შევახეთ, მიზეზია ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც მან იქონია. არც ერთი კითხვა, სხდომაზე განხილული, არა ჰქონდათ კარგად აწონილ-დაწონილი ბ. ხმოსნებს. ყოველ საქმეს წინ-და-წინ გამზადება ეჭირვება და რაღა თქმა უნდა, რომ საზოგადო საქმეზე გაუმზადებლად სიტყვების სროლა, დიდ დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს. კიდევ ურიგო არ იქნება, რომ ბჭობა ქართულ ენაზე იყოს. უმეტესს ნაწილს ხმოსანთა რუსული სრულიად არ ეყურებათ. ამას გარდა, ერთად არევა რუსულის და ქართულისა აბნელებს საქმის გამოკვლევას და კაცს დალაგებით რაიმე კითხვის თვალყურის დევნას უძნელებს.

---

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

4 თებერვალს.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბძანება, რომლის ძალითაც დეპუტაციები საზოგადოებრივთა დაწესებულებათა, მეცნიერულთა და სხვა საზოგადოებათა, კერძო კრებათა და დაწესებულებათა უნდა ირჩევოდენ და სდგებოდენ გენერალ-გუბერნატორების ნება-რთვით, ხოლო იმ ადგილებში, რომელნიც გენერალ-გუბერნატორებს არ ემორჩილებიან—შინაურ საქმეთა მინისტრის ნება-რთვით ადგილობრივი მთავრობის მიერ.

იმ კომისიას, რომლის თავმჯდომარედ გზათა მინისტრის ამხანაგია და რომელიც რკინის გზების ტარიფს იხილავს, გაუთავებია თვისი მოქმედება და, როგორც ისმის, სამინისტროს ის დასკვნა გამოუყვანია, რომ საჭიროა რკინის გზების ტარიფის საქმეზე მმართებლობას ჰქონდეს ზედამხედველობა.

**ლონდონი.** ქალაქის საბჭოში გაიმართა კონსერვატორების მიტინგი და მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს მმართებლობის პოლიტიკას ეგვიპტეში და უწოდებს მას სუსტს და გაუბედავს.

**მოსკოვი.** წუხელ პირველად წარმოადგინეს დიდს თეატრში ახალი ოპერა ჩაიკოვსკისა «მაზეპა».

ჰფიქრობენ დააწესონ უნივერსიტეტთან ახალი მეცნიერული პსიხოლოგიური საზოგადოება და პროექტიც სდგება ამის შესახებ; საზოგადოებას თავის საგნად ექნება პსიხოლოგიის ვრცლად შემუშავება; ამასთანავე საზოგადოება გამოიკვლევს სულიერთა ავად-მყოფობათ და ხალხთა პსიხოლოგიას.

**პოზნანი.** 7(19) თებერვლიდგან აღკრძალეს პოზნანის სამზღვრით რუსეთიდამ ღორების მორეკა.

**კაირი.** სინკათის აღების დროს ცრუწინასწარმეტყველის ჯარმა ამოხოცა არამთუ გარნიზონი, არამედ 200 დედა-კაცი და ამოდენივე ბავშვებიც; ჰფიქრობენ, რომ აჯანყებულები დაეცემიან ტოკარს, ვიდრე ჯარი მოეშველებოდეს ამ სიმაგრეს.

5 თებერვალს.

გუშინ ხელმწიფე იმპერატორი უცებ მივიდა სემენევ—ალექსანდროვის საავადმყოფოში, სადაც არიან დიფტერიტით ავადმყოფნი. დაიარა სულ ყველა პალატები და განყოფილებანი: სოფლისა, წითელი ქარისა, ჩუდ-ყვავილასი და სხვა გადამდებთა ავადმყოფობათა; მერე მისი დიდებულება ჩავიდა სამზარეულოში, სადაც გასინჯა საჭმელი და კვასი; შემდეგ ნახა მიცვალებულების დასასვენებელი ოთახი და ანატომიური დარბაზი.

გამოცხადებულია უმაღლესი ბძანება შესახებ მიწის-მფლობელთა სოლო თამასუქების გამოთვლისა სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

მოსკოვი. გუშინ ჩერნიაევი პეტერბურგში წავიდა; იმის გაცილებაზე დაესწრნენ აქაურ უმთავრესთა სავაჭრო ფირმათა წარმომადგენელნი; ერთმა მათგანმა, ტიმოთესაბას-ძე მოროზოვმა, ყველას მაგივრად მადლობა უთხრა ჩერნიაევს, როგორც წარმომადგენელს მმართებლობისას, შუა აზიაში ჩვენი ვაჭრობის დახმარებისათვის.

ლონდონი. გუშინ კიდევ გაიმართა მიტინგი და ამ მიტინგზედაც მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც სასტიკად ჰკიცხავს კაბინეტის პოლიტიკას ეგვიპტეში და რომელიც თხოულობს პარლამენტის დათხოვნას. მიტინგზე იყვნენ მრავალნი პარლამენტის წევრნიც, რომელნიც კონსერვატორების დასს ეკუთვნიან.

ნოვოჩერკასკი. სლობოდა ბოლშინსკოიში გლეხთა ბრბო თავს დაესხა ერთი ცხვრის პატრონის ფარეხსა; თავ დასხმულთ თოფები ესროლეს და ამ გვარად განდევნეს ფარეხიდგან. ამ დროს რამდენიმე კაცი მოიკლა; ყაზახები გაგზავნილი იმ ადგილს, სადაც ეს ამბავი მოხდა.

ბერლინი. რუსეთის სამხედრო ელჩი, თავადი დოლგორუკი, ფრიდრიხსრუეში წავიდა, როგორც ამბობენ, იმ განძრახვით, რომ ბისმარკსაც ისევ ის გამოუცხადოს, რაც რამდენიმე დღის წინად იმპერატორს ვილჰელმს, რომელსაც თავადმა გადასცა რუსეთის იმპერატორის მაგივრად, რომ სრულიად დარწმუნებული იყოს მისს გულითადს მეგობრობაზე.

ბელგრადი. სამინისტრო კრიზისს იმით ხსნიან, რომ პროგრესისტებს და რისტიჩს შუა დიდი უთანხმობა არის. პროგრესისტები, სულ 70 კაცია ამორჩეული; ესენი თხოულობენ, რომ მათგანი 44 დეპუტატი, რომელთაც მმართებლობა ნიშნავს, სკუპშჩინაში იყოს; 44 დეპუტატი რომ ჰყვანდეთ პროგრესისტებს, მაშინ სკუპშჩინაში უმრავლესობას ისინი შეადგენენ და უპირატესობაც მათ დარჩებათ. რისტიჩი კი ცდილობს მმართებლობის მომხრეთა უმეტესობა შესდგეს იმ პირთაგან, რომელთაც მოსწონთ ეხლანდელი წეს-წყობილება და რომელნიც არც ერთს დასს არ ეკუთვნიან. მეფემ მიიწვია თავისთან პროგრესისტების წინამძღოლი გარაშნინი, რომელსაც, შეიძლება, მიანდოს შეადგინოს პროგრესისტების დასისთან.

პარიჟი. გუშინ ეგვიპტელი სალდათების რაზმი მივიდა სასახლეში და ჩააბარა ხედივს არზა, რომელშიაც სთხოვენ, რომ ეგვიპტის ჯარები სუდანში არ გაგზავნოს და ინგლისელი ოფიცრები სამსახურიდგან დაითხოვოს. ეს სალდათები დაიჭირეს და საპყრობილეში დაამწყვდიეს.


## განცხადებანი

ამერიკელი კბილის ექიმი

### დოქტორი ვოლტერი

გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ერთი მისავალი ვესტლის ფოტოგრაფიიდგან. Iღებს პაციენტებს ხელოვნური კბილების ჩასასმელად, ამერიკულს სისტემაზე, როგორც მთელი ყბებისას, აგრეთვე ცალ-ცალკე კბილებისას, რომელნიც არაფრით არ განირჩევიან ნამდვილისაგან და რომლებითაც სრულიად თავისუფლად შეიძლება საჭმლის ღეჭვა. ვარჩენ კბილის ტკივილებს ჩემგან გამოგონილის საშუალებებით და ვუკეთებ კბილებს პრაქტიკაში ცნობილ პლომბებს, მაქვს კბილის ელექსირი, რომელიც ამაგრებს ღრძილებს, კბილებს და ცუდს სუნსა სპობს პირში, კბილების პარაშოკი, რომელიც ათეთრებს და ასუფთავებს კბილებს; ეს საშუალებანი მოწონებულნი არიან მედიცინური დეპარტამენტისაგან და მათი ხმარების ნებაც მაქვს ამავე დეპარტამენტისაგან. ვიღებ პაციენტებს დილის 10 საათიდგან საღამოს 6 საათამდინ. Oთხშაბათობით და შაბათობით ვიღებ ღარიბთ უფასოდ დილის 9 საათიდგან 11 საათამდენ.

(5—1)

გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| ალი, მოთხ. ნ. ლომოურისა . | 30 კაპ. |
| დედა მაია, მოთხ. ს. მგალობლიშვილისა . . . | 20 — |
| ბედ-უკუღმართი ქალობა, მოთხ. ალ. მირიანაშვილისა. . . . . . | 15 — |
| იოვანე შავთელი (ბიოგრაფია) ზ. მთაწმინდელისა . . | 15 — |
| ნობათი, საყმაწვილო ჟურნალი, თითო 50 კაპ. მთელის წლის . . . . | 4 მან. |
| ხომლი, გამოც. გოგებაშვილისა . . . . . . . | 30 კაპ. |
| კუნწულა, გამ. გოგებაშვილისა | 40 — |
| Первый шагъ, ლ. აღნიაშვილისა . . . . . | 40 — |
| ანტონ ფურცელაძის ნაწერი, პირ. წიგნი. . . . . | 1 მან. |
| ანატომია კაცისა, ალ. კვთელისა . . . . . . | 15 კაპ. |
| საქართველოს აოხრება, (ისტ. ბროშიურა) . . . . . | 10 კაპ. |
| სამზარეულო, შედგ. ბარ. ჯორჯაძისაგან . . . | 1 მან. |

(5—4)

## ჟურნალი „ივერია"

(წელიწადი მერვე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შავერდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქავ, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

(10—5) რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

ინგლისის მაღაზიაში



**თმის-ამომყვანი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—93)

**მაკ-მასტერი**

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—Iნგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოკელის „ხელისათვის"—25°/₀ იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხის ატაკისათვის კლიონკები. ტაზტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შრიტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—27)


### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 9 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 9 კ. |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензур. Тифлисъ, 6 Февраля 1884 г. ქ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი Ი. მაჩაბელი.